საქართველოს პარლამენტის ბიუროს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

№227/3

2018 წელი, 24 დეკემბერი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 117-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის ბიურო ადგენს:

1. საქართველოს პარლამენტის წევრების აკაკი ზოიძის, დიმიტრი ხუნდაძის, ლევან კობერიძის, ილია ნაკაშიძის და დიმიტრი მხეიძის წინადადების საფუძველზე, საქართველოს პარლამენტის წევრების აკაკი ზოიძის, დიმიტრი ხუნდაძის, ლევან კობერიძის, ილია ნაკაშიძის და დიმიტრი მხეიძის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (07-3/259; 13.12.2018) საქართველოს კანონის პროექტი განხილულ იქნეს დაჩქარებული წესით.

2. „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (07-3/259; 13.12.2018) საქართველოს კანონის პროექტი პარლამენტის სხდომის ერთ დღეს განხილულ იქნეს ორი მოსმენით.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე,
ბიუროს სხდომის თავმჯდომარე — ირაკლი კობახიძე